შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 12.

კვირა, მარტი 22, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.
ნახევარი წლით — 2½ მან.
ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი — „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: იესო ქრისტე — ძე ღვთისა — ნაკაშიძისა; პირველი ფურცელი. ბიბლიისა — ღონოფრე მწირისა; ერობა — ბოშლელისა; აკაკი წერეთელი — მღვ. მ. კელენჯერიძისა; ადამიანის ღირსშნულება — რაპპოლასი; არის თუ არა სასწაული? — კინკილეთელისა; ცხადება იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობისა წმიდის მთავარ მოწამის, ძლევაშემოსილისა და საკვირველ მოქმედის გიორგისა.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კაზაკოვის — შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში — წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2½ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

იესო ქრისტე — ძე ღვთისა.

ქვეყნად მოსვლის დროიდამ აქამომდე იესო ქრისტე იყო და არის ზოგისთვის საგანი მტკიცე სარწმუნოებისა, ზოგისთვის კი საგანი ცხარე დავისა და გამწვავებული ბრძოლისა. ჯერ ისევ მისი თანამედროვენივე სხვა და სხვანაირად ლაპარაკობდნენ მაზე: რომელნიმე იტყოდეს: კეთილ არს; ხოლო სხვანი იტყოდეს: არა, არამედ აცდუნებს ერსა. (იოანე 7, 12); ზოგნი ამბობდნენ: ესე კაცი არა არს ღმრთისაგან, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს; სხვანი იტყოდეს: ვითარ ხელემწიფების კაცსა ცოდვილსა ესე ვითარისა სასწაულისა საქმედ? და იყო ცილობა მათ შორის. (იოანე 9,16). უღრმესი აზრი ამ ცილობისა გამოაცხადა ურიათა სარწმუნოების წარმომადგენელმა მღვდელმთავარმა კაიაფამ, რომელმაც ჰკითხა ქრისტეს: შენ ხარ იესო ძე ღვთისა? (მათე 26,63). იმ დროიდან ეს კითხვა, შეიძლება ითქვას განუწყვეტელად გაისმის.

როგორ მიიღო ქვეყანამ ქადაგება მოციქულთა ქრისტეს ჯვარის შესახებ? მაშინ, როცა ქადაგება ქრისტესი მორწმუნეთათვის შეიქმნა ძალად ღვთისად საცხოვნებელად, ურწმუნოებს იგი ეჩვენათ სისულელედ, საცთურად (კორ. 1,23). სიყვარულის მოციქული იოანეც კი პირველს ეპისტოლეში ღრმა მწუხარებით მოწმობს, რომ იმის დროს, ქრისტიანობის დასაწყისშივე, იყვნენ მრავალნი, რომელნიც პირდაპირ უარყოფდნენ ეკლესიის სარწმუნოებას, რომ იესო ქრისტე არის ძე ღვთისა (იოანე 1, 2. 18. 22. 23.) გადიოდა დრო; იცვალნენ მთელი თაობები, მთელი ერები აღიგვნენ პირისაგან ქვეყანისა და თავისი ადგილი სხვებს დაუთმეს, მაგრამ დავა და ცილობა ქრისტეს შესახებ კვალად აწუხებდა კაცობრიობას. ამ დავაში ერთი მხრით ჩვენ ვხედავთ მართალ ქრისტიანეთა ურიცხვს გუნდს, რომელსაც მეთაურობენ ეკლესიის დიდნი მნათობნი და მთელი კრებები. ქრისტეს ღვთის ძეობის შეურყეველმა სარწმუნოებამ, აღბეჭდილმა მოწამეთა სისხლით, შეაერთა მორწმუნენი, თანახმად უფლის აღთქმისა, კლდეზავით შეუმუსვრელ ეკლესიად, რომელსაც ვერ სძლევენ ბოროტის ძალნი. მეორე მხრით კი ჩვენ ვხედავთ შეუწყვეტელ ცდას გამ[illegible] ურიათა მღვდელთმთავარი, რომე[illegible] ქრისტეს

დასდო ბრალი ღვთის გმობაზე.

საქრისტიანო ეკლესიის ისტორიამ შეგვინახა ჩვენ მრავალი სახელი, რომელნიც კადნიერად წინააღუდგნენ მოძღვრებას ქრისტეს ღვთის ძეობის შესახებ, დაარღვიეს ეკლესიური ერთობა და გარდააქციეს ეკლესიიდან მრავალი სუსტი და განუმტკიცებელი სარწმუნოებით.

აღარ უნდა ლაპარაკი, რომ დავა ქრისტეს შესახებ ჩვენს დროშიც აღელვებს კაცობრიობას. ახლაც არიან არიოსები, რომლებიც ათასობით ართმევენ ეკლესიას წევრებს. ტალღები ეჭვისა, უარყოფისა და ურწმუნოებისა აზვირთებულ არიან იმოდენა ძალით, თითქმის სურდეთ მთლად დანთქან ეკლესია. ყოველივე ეს ვალდებულად ხდის ქრისტიანეს ხელახლად აღიაროს კაცთა წინაშე ქრისტე ძედ ღვთისად, რათა განამტკიცოს სარწმუნოება ერთთა, გაჰფანტოს ეჭვი მეორეთა და მხურვალე და შეგნებული რწმენა დაუპირდაპიროს ურწმუნოებას მესამეთა. კერძოდ ჩვენ გვსურს ჩვენი სუსტი სიტყვა მივმართოთ ერნესტ რენანის წინააღმდეგ, რომლის თხზულება „ცხოვრება იესოსი“ აწინდელს დროში ფართოდ გავრცელებულია და რომლის შეხედულობას ქრისტეზე თანაუგრძნობენ მრავალნი.

რენანისგან დახატული სახე ქრისტე მაცხოვრისა იმდენად დაბლა სდგას სახარების იესო ქრისტეს სახეზე, რომ მორწმუნე კაცი დიდს ხანს არ იყოყმანებს შესახებ იმისა, თუ რომელს მხარეს მიუდგეს: მოციქულებს, ამ თვალთმხილველებს განხორციელებულის ღვთისას, თუ რენანს, რომელმაც მხოლოდ, ისიც თვრამეტი საუკუნის შემდეგ, მარტოოდენ ნახა ის ქვეყანა, რომელზედაც ოდესმე უვლია სოფლით მოძღვარს.

განვიმეოროთ მღვდელთმთავრის კითხვა ქრისტესადმი: გვარქვ ჩვენ: შენ ხარ იესო ძე ღვთისა? და მოვძებნოთ ამისი პასუხი სახარებაში, იმ წიგნში, რომელიც მოგვითხრობს იესო ქრისტეს ღვთაების შესახებ.

გავიხსენოთ იოანე მახარობლის მოთხრობა სილოამის საბანელთან განრღვეულის განკურნების შესახებ. ეს ოცდათვრამეტი წლის განრღვეული, რომელიც დიდხანს და ამაოდ ელოდა პირველად ჩასვლას ანგელოზისგან აღძრულს წყალში, განიკურნა მაცხოვრის ერთი სიტყვით, აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე! ამ სასწაულმა, შაბათს მოხდენილმა, იესოს წინააღმდეგ აღელვა ურიები, რომლებიც ეძიებდნენ მისს მოკვლას, მიტომ რომ ამგვარ საქმეებს ის სჩადიოდა შაბათობით. ქრისტემ ურიებს ამაზე უპასუხა: მამა ჩემი მოაქამომდე იქმს და მეც ვიქმ. ამ სიტყვებით ნაჩვენებია შაბათის დარღვევის საბუთიც და პირდაპირი მოწმობაც ქრისტესი თავის პიროვნებაზე. ქრისტე ამბობს, რომ კეთილი საქმე კაცს უნდა უყო ყოველთვის, რადგანაც ასე იქმოდა ღმერთი, მამა მისი თავიდგანვე მიუხედავად შაბათის კანონისა. ცხადია, თუ ქრისტე ღმერთს თვის მამად უწოდებს, თავის თავს რაცხს მის ძედ. იგი იყო ძე ღვთისა. სწორედ ასე გაიგეს ეს სიტყვები ურიებმა, რომლებიც აღივსნენ სარწმუნოებრივი გულისწყრომით და უფრო უმეტესად ეძიებდნენ მოკვლად იესოს, რადგანაც მათი აზრით, შაბათის დარღვევას, ქრისტემ მიუმატა მეორე ბრალიც, რომელიც მდგომარეობდა მაში, რომ მან ღმერთს უწოდა თავისი მამა და თავსა თვისსა სწორჰყოფდა ღვთისა.

რენანი სრულიად ამაოდ სცდილობს შეასუსტოს ძალა იესო ქრისტეს ამ მოწმობისა თავის თავზე, როცა ამბობს, რომ სახელწოდება ძე ღვთისა არ შეიცავს არაფერს განსაკუთრებითს, რადგანაც ყველა კაცნი ღვთის ძენი არიანო. თუ ყველა კაცნი ღვთის ძენი არიან და თუ ქრისტემ ამ აზრით უწოდა თავის თავს ძე ღვთისა, მაშინ სრულიად გაუგებარია ურიების გულისწყრომა და მათი სურვილი ქრისტეს მოკვლისა; ძველს აღთქმაში წოდება ძე ღვთისა ხან-და-ხან კაცებსაც ეკუთნოდა, მაგ. სოლომონს, ისრაილთა მსაჯულებს, მაგრამ ამ წოდებას არასოდეს არ გამოუწვევია სიძულილი. ცხადია, რომ იესო ქრისტე არჩევდა თავის თავს ჩვეულებრივ ღვთის ძეთაგან და უწოდებდა თავის თავს ამ სახელს განსაკუთრებითი აზრით— „თავსა თვისსა სწორჰყოფდა ღვთისა.“ ამ აზრის სინამდვილე საუ-

კეთესოდ მტკიცდება შემდეგი მოძღვრებით, რომელშიც მაცხოვარი განმარტებს თავის დამოკიდებულებას მამა ღმერთთან, შინაარსი ამ მოძღვრებისა ასეთია.

იესო ქრისტე ამბობს რომ მისთვის, შაბათს განრღვეულის განმკურნებელისთვ ს, შეუძლებელია მოქმედება მამასთან დამოუკიდებლად; მას შეეძლო ემოქმედნა დამოუკიდებლად მამისგან მხოლოდ მაშინ, რომ იგი მისი ძე არ ყოფილიყო; მაგრამ, ვინაიდგან იგი ქრისტე არის ძე ღვთისა, ამიტომ მათ შორის, მათს მოქმედებაში არსებობს სრული ერთობა, სრული თანხმობა, როგორიც არის ხოლმე იმ ძის მოქმედებაში, რომელიც პატივისცემით უკეერის მამის მოქმედებას და მხოლოდ იმაზე-და ჰფიქრობს, რომ მიბაძოს მას. მამა ზეციერი, ძის სიყვარულის გამო, პირდაპირი გამოცხადებით აუწყებს ყოველსავე იმას, რასაც იქმს, რათა ძემანცა ჰქმნას იგივე, რასაც იქმს მამა. ძეც ნამდვილად იქმს იმ საქმეებს, რომლებსაც იქმს მამა. მამას აქვს ხელმწიფება სიცოცხლისა და სიკვდილისა, ძესაც აქვს იგივე უფლება, რაიცა დაამტკიცა სასწაულებრივი განკურნებით. მამას აქვს უფლება სასჯელისა მთელს ქვეყანაზე, იგივე უფლება აქვს ძესაც, ასე რომ ნამა არაკი სჯის ვისმე და ძესა მისცა ყოფა სასჯელისა; ამის გამო, თუ მამას ეკუთნის პატივისცემა, მაშინ ძესაც ეკუთნის ისეთივე პატივისცემა, ასე რომ, ვინ ც ძეს არ სცემს პატივს, ის არც მამას სცემს პატივ'ს. ხოლო ძეს პატივს სცემს ის, ვინ ც ისმენს მისს სიტყვებს და სწამს, რომ იგი მოვლინებულია ზეციერი მამისგან. ჯილდოდ ამგვარი პატივისცემისთვის იქნება საუკუნო ცხოვრება, რომელსაც ძე ღვთისა მისცემს მის პატივისმცემლებს. მას შეუძლიან ამ ცხოვრების მიცემა, რადგანაც აქვს იგი.

ყურადღების ღირსია ეს საუბარი მაცხოვრისა. იესო ქრისტე აქ ჩამოთვლობს ყველა იმას, რაც ეკუთნის ღმერთს—1) სიკვდილის და ცხოვრების უფლებას, რომელიც ეკუთნის მხოლოდ ღმერთს, 2) ქვეყნის განსჯის უფლებას, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთნის, 3) უფლება ცხოვრებისა იმ ზომით, რა ზომითაც აქვს ღმერთსა, თვით არსს და საუკუნო ცხოვრების წყაროს. შეიძლებალა იყვეს ამაზე უფრო ცხადი, და უფრო სრული მოწმობა იესო ქრისტეს ღვთაებაზე? შეიძლება განა ამის შემდეგ, რენანთან ერთად თქვა, რომ თვით ქრისტეს არაოდეს არ მოსვლია აზრად თავისი თავის განხორციელებულ ღმერთად დასახვა? პირიქით, უნდა ვთქვათ, რომ ქრისტე ღვთაებრივს ცხოვრებას თავის საკუთარ ცხოვრებად რაცხდა; ქრისტე თვით თავისში განიცდიდა საღვთო ცხოვრებას. ეს მტკიცდება მისი მრავალი წარმოთქვამებით თავის შესახებ. ეს წარმოთქვამები ჩვენთვის სულ გაუგებრად დარჩებიან თუ ჩვენ არ მივიღებთ, რომ ქრისტე ჰეშმარიტად იყო ძე ღვთისა.

ქრისტე უწოდებს თავისს თავ'ს არა მხოლოდ ძედ ღვთისად, არამედ ძედ მხოლოდშობილად, ე. ი. იმისთანად, როგორიც მხოლოდ ერთი ჰყავს მამას, რომელიც იშვების განსაკუთრებულად, მამის საშოდან, ე. ი. არსებიდან და ამიტომ მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან, ის არის ძე ღვთისა ბუნებით. თავის დამოკიდებულებას მამა ღმერთთან იესო არჩევდა სხვა შვილთან დამოკიდებულობისგან; ეს იქიდან სჩანს, რომ მას არაოდეს არ უთქვამს „ჩვენი მამა", არამედ „ჩემი მამა", „თქვენი მამა", მაგ. მიკალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა"; ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ და სხვ. გამონაკლისს შეადგენს სიტყვები „მამაო ჩვენო" უფლის ლოცვაში; მაგრამ ეს მითი ახსნება, რომ ეს ლოცვა მაცხოვარმა მისცა ხალხს და ეს სიტყვები, ამ რიგად, არიან მიმართვა ღვთისადმი ხალხისა და არა ქრისტესი.

რადგანაც იესო ქრისტე იყო ჰეშმარიტი ძე ღვთისა, თვით განიცდიდა ღვთაებრივს ცხოვრებას, მას უნდა ჰქონოდა ისეთი ცნობა ზეციური მამისა, როგორიც არაოდეს არავის კაცთაგანს არა ჰქონია და არც ექნება მიტომ, რომ არავის ჩვენგანს არ უცხოვრია ღვთაებრივი ცხოვრებით. ეს ასეც არის. ამიტომ მაცხოვარი ბრძანებს: არავინ იცის მამა გარნა ძემან; უკეთუ ვსთქვა ვითარმედ არა ვიცი იგი, ვიყო მეცა მსგავს თქვენდა მტყუარ (იოანე

8,55). ქრისტეს ამგვარი დამოკიდებულობის გამო მამა ღმერთთან წარმოსდგა ის ერთობა მათ შორის, რომელიც გამოიხატება სიტყვებით: „შენი ყოველი ჩემი არს და ჩემი შენი არს“ (17, 10). ჩვეულებრივი კაცის პირში ეს სიტყვები უაზრონი იქნებოდნენ, რადგანაც, თუ ყოველივე, რაცა აქვს კაცს არსებით ეკუთნის ღმერთს, ყველასთვის ყოვლის მომცემელს, მაშინ იმიდან, რაც ეკუთნის ღმერთს, არაფერი არ ეკუთნის კაცს. ქრისტე ღვთის ძის პირში კი ეს სიტყვები გამოხატვენ მჭიდრო ერთობას მისას ზეციურ მამასთან, ერთობას ღვთაებრივი ბუნებით. ამ ბუნების ერთობის და მამასთან ცხოვრების ძალით ყოველივე, რასაც კი იქმოდა იესო, იყო მისი მომავლინებელის და მასთან მყოფი მამის საქმე. ამიტომ მისი მოძღვრება იყო სწავლა და სიტყვა თვით მამისა; მისნი საკვირველნი საქმენი სასწაულნი იყვნენ მამის საქმენი. ამ რიგად, ცხოვრება იესოსი იყო კაცთათვის გამოცხადება ზეციერი მამის ცხოვრებისა; მაშინ ხალხს შეეძლო ეცნა მამა ზეციერი და მისვლა მასთან; ცნობა ქრისტესი არის მამის ცნობა, მიღება მისი არის მიღება და შეყვარება ზეციერი მამისა; შეძულება ქრისტესი აგრეთვე არის შეძულება ზეციერი მამისა.

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება).

პირველი ფურცელი გიბლიისა.

(პროფ. ბეტეკსისა)

(გაგრძელება.*)

„დაეთქვა ღმერთმა: გამოიღეთ ქვეყანამან სამშვიერველი ცოცველი ნათესაობისაებრ: ოთხფეთა და ქვეწარმავალთა და მხეცთა ქვეყანისათა ნათესაობისაებრ; და იქმნა ეგრეთ. და შექმნა ღმერთმან მხეცნი ქვეყანისანი ნათესაობისაებრ მათისა, და უსიტყვნი ყოველი ქვეწარმავალი ქვეყანისა ნათესაობისაებრ მათისა; და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ.“

„და შექმნა ღმერთმან მხეცნი ქვეყანისანი ნათესაობისაებრ მათისა“— ასე შექმნა იგინი მეექვსე დღეს.

ბიბლიამ არაფერი იცის ახლანდელ დროს ეგზომ გავრცელებულ თეორიის შესახებ, რომელიც ატარებს თვისი ავტორის—დარვინის სახელს. ამ თეორიასამებრ უმაღლესი ცხოველები და თითქმის კაციც განვითარდენ ვითომ „თავისთავად“ მრავალ მილიონი წლის განმავლობაში უმდარეს ნათესავთაგან, და ეს უკანა კნელებიც იმავე გზით აღმოცენდენ „პირველ-დაწყებით უჯრედისაგან პროტოპლაზმისა“, ე—ი., პატარა ბუშტისა ამ ბუშტისავე საკუთარის ძალით. არა. როგორც მცენარეები, ისე პირუტყვებიც შეიქმნენ „ნათესაობისაებრ მათისა“ გარკვეულის განსაზღვრით. რასაკვირველია, მრავალი გვარი მცენარეთა და პირუტყვთა მათი შექმნის დროიდან გაქრა დედამიწის პირიდან, ამოწყდა; მაგრამ ადამიანის შექმნით ღვთიურ შემოქმედის დასრულების შემდეგ თითქო გამჩდარიყვნენ რომელნიმე ახალნი გვარნი,—ეს ჯერ ვერავინ დაამტკიცა. მართალია, სხვა და სხვა ჯიშების შეერთებით ადამიანმა მიიღო რაოდენიმე სახის ცვლილება ძალთა; სხვა და სხვა განყოფილების მცენარეთა შორის, მაგრამ თვით გვარი უცვლელი რჩება. იმის შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს ცხენი არ გარდაქმნილა ხარად. ხოლო ძველი მოძღვრება თანამედროვე სახით შესახებ ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობისა, ვითომ მაიმუნმა განაგდო თვისი პირუტყული სახე და შეუგნებლად შეითვისა მეტყველება,—ოცნებაა არა მარტო ბიბლიურის, არამედ ნამდვილ მეცნიერულ ბიოლოგიურ თვალთსაზრისითაც, ვინაიდგან მას ეწინააღმდეგება ათასობით ფაკტები.

მსგავსად მესამე დღეს შექმნულთა მცენარეთა და მეხუთე დღის თევზთა და ფრინველთა გაქვავებულ ნაშთებისა, დედამიწის გულში, მის შინაგან დანალექში მრავლად გვხდებიან ხშირად მშვენივრად დაცულნი ნაშთნი მეექვსე დღეს შექმნულ ოთხფეხებისა. საკმარისია მკითხველმა შეიხედოს, რომელიც სურს, საბუნებისმეტყველო მუზეუმში, რომ დაინახოს იგი მრავლად. ბიბლია რომ მართალია იმაშიც, **რომ ეს ოთხფეხები შეიქმნენ სახელდობ მხოლოდ მეექვსე დღეს, ამას ამტკიცებს ის, რომ** ოთხფეხთა ნაშთები პირველად მიწის უძველეს შრეებში კი არ გვხდება, არამედ უგვია-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 9.

ნეს, ესრეთწოდებულ, ცარცის ნიადაგში, რომელიც ფარავს უძველეს შრეებს. აქ აღარ სჩანს გაქვავებული ჩონჩხები რომლისამე გარდამავალ სახეებისა, რომლებსაც შეეძლოთ დარვინის თეორიის დამტკიცება, თითქო ზღვის ცხოველები ნელად და თან-და-თან გადაგვარდენ ოთხფეხებად, ხვითქები ხარებად და სხვ.; პირიქით ამ ნიადაგში უცბად ჩნდებიან ასობით და ათასობით წინაპარნი ჩვენი სპილოებისა, დინგ-რქიანთა, ჰიპპოპოტამთა; ეს ცხოველნი მაშინ, როგორც ახალგაზდა ძალის მექონნი, უფრო მსხვილნი და ღონიერნი ყოფილან, ვიდრე ჩვენი თანამედროვენი. მათი კბილი მუშტის ოდენია, ეშვები—ახალგაზდა ხის სიმსხვილე და 10—12 ფუტის სიგრძე, მათი ჩონჩხი თითქო, დვირეებისგანაა შეკრულიო,—ასე რომ მათი სახე გვაგონებს იობის წიგნში მოხსენებულს ბეჰემოტს (40, 10—19).

აი მაგალითად „მეგატერიუმი“ ანუ „დიდი მხეცი“, თითქმის ორჯერ მეტი ხარისა, უზომოდ მსხვილ ძვლებიანი, მაგარ სვეტების მზგავს ფეხებით და მთელი ფუტის სიგრძე ჰანგებით. შემოსილი ორ-დუიმიანი სისქის ტყავით, იგი თავის ვებერთელა სატეხისგვარ კბილებით ისე ამტვრევდა ხეების მთელ რტოებს, თითქო ბალახის ცვრიანი ღერო ყოფილიყო. დიდებულად დაიარებოდა ტყეში ეს მძლავრი ქმნილება ღვთისა და ვით ჯავშნოსან სიმაგრეს, არავითარის დაცემის არ ეშინოდა: მის ტყავს ვერ განვლიდა ვერც კლანჭები და ვერცა კბილები; თავსდასხმა ლომისა ანუ ვეფხვისა არ შეაშინებდა მას; თვის ღონიერ თათის ერთის დაკვრით გასრესდა რომელიც გსურს ეხლანდელ მტაცებელ მხეცს.

მეექვსე დღესვე შექმნა ღმერთმან „დინოტერია“ ანუ „საშინელი მხეცი“, რომლის ვეება თავის ქალა და ეშვები შეგიძლიათ დაათვალიეროთ შტუტგარტის ზოოლოგიურ მუზეუმში. ჰგავდა ჰიპპოპოტამს, მაგრამ მაზე ბევრად უფრო მეტი იყო; ხორთუმი ქონდა მძლავრი და დიდი ქვემოხრილი ეშვები, რომლების შემწეობით შეეძლო ჩქარ მდინარეში დაპყრობოდა წყლის ფსკერს; იკვებებოდა წყლის მცენარეებით. ცხოვრობდა იმ შორეულ დროში მრავალი „მამონტი“ და „მასტოდონტი“—ორი ვეებერთელა მოგვარე ახლანდელის სპილოსი. მასტოდონტი შემოსილი იყო ბანჯგვლიანის ბალნით და შეიარაღებული ვეება ეშვებით; ცხოვრობდა ჩრდილოეთს, მრავლად, ახლანდელ ციმბირამდე; იმის ეშვებს დღეს მრავლად პოულობენ, რაც ახლა შეადგენს მთავარ საგანს სპილოს ძვლით ვაჭრობისას. ზოგჯერ ამ პირუტყვებს პოულობენ პოლიარულ ყინულებში გაყინულებს; შესაძლებელია, ისინი მოყვნენ აქ წარღვნის დროს, და ისე ლამაზად შენახულან, რომ ძაღლები სჭამდენ მათ ხორცს და თითქმის მოგზაურებიც არ თაკილობდენ მწვადს ოთხათას წლიან ხორცისას. ამ ცხოველებთან შესაქმის მეექვსე დღეს შეიქმნენ აგრეთვე ვეებერთელა ხვლიკნი სიგრძით 70 ფუტამდის (10 საჟენი) ხარის უმაღლესნი; აგრეთვე ქერქლ-ტყაოსანნი 14—24 ფუტამდე სიგრძისა, შემოსილნი ფოლადივით მაგარ, ექვს-კუთხიან ანუ მახვილ ქეცვით. მათი მოგვარენი, რასაკვირველია, ექვსჯერ მათი ნაკლებნი, ახლაც კიდევ ცხოვრობენ სამხრეთ ამერიკაში.

ყოველსავე ამას უნდა დავუმატოთ მრავალ რიცხოვანნი გვარნი წვრილ პირუტყვთა, წყლის ჭრიჭინა და ობობიანად, რომლებსაც დღესაც ვპოულობთ მშვენივრად დაცულებს ქარვაში, რომელიც წარმოადგენს თან და თან გამაგრებულ წვენს ერთი მაშინდელი ფიჭვის ხისას.

ამგვარად შეიქმნა პირუტყვი, რომლის უსაზღვრო გვარნი მკვიდრობენ ახლა ჩვენს დედამიწაზე.

ონოფრე მწირი.

(გაგრძელება იქნება).

ე რ ო ბ ა.

დიდი და ღრმა ცვლილება, რომელიც თან მოჰყვა ბატონ-ყმობის გადავარდნის საქმეს რუსეთში და ჩვენშიაც, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა გადასხვაფერებას ყოველ-გვარ სახელმწიფო დაწესებულებისას, რომელიც ასე თუ ისე უკავშირდება ხალხის ცხოვრებას. და მართლაც, ეს ასეც მოხდა. ვი-

ბელს სას ღმწიფო დაწესებულებაში მოსდა ძირითადი ცვლილება და განახლებულს ცხოვრებას დაბერა ახალმა ცხოველ მყოფელმა სიცოცხლემ...

გათავისუფლებული მუშის დაქირავებულ სულებით შეჭრილმა საქონელთა (товарное) მეურნობამ, რომელმაც ბოლო მოუღო წოდებათა ძველებურს მდგომარეობას ერის ცხოვრებაშ., შეამუშავა სხვა და სხვა კანონდებულებანი და ნორმები. აი, ამ კანონდებულებათა და ნორმების საზღვრებში უნდა ნამდგარიყო ბატონ-ყმობის ეპოქის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი საზოგადობრივი კლასები.

ბატონ-ყმობის დროს მთავრობა თავად-აზნაურთა, ე. ი., უპირატესი წოდების დახმარებით აწესრიგებდა საზოგადო ცხოვრებას.

ამ უპირატესი წოდების გაუქმების და შინაყმების გათავისუფლების შემდეგ, როდესაც დადგა საზოგადობრივ კლასთა არსებობის ხანა და საქონელთა წარმოებამ დიდად გაართულა ცხოვრება, ამ კლასთა შორის დამოკიდებულების გაწესრიგება და კანონიერს საზღვრებში ჩაყენებაც ერთობ გართულდა და ძალიანაც გაძნელდა მთავრობისთვის... მაშინ საჭიროდ დაინახეს, რომ ადგილობრივი თვით მართველობის ორგანოებიც მიშველებოდენ, მისმარებოდენ მთავრობა. ამ ორგანოების შემწეობით, რომელნიც კარგად იცნობდენ და პირ და პირაც შეესაბამებოდენ საზოგადო ცხოვრების ახალს პირობებს, მთავრობას სურდა წარემართა დიდი და რთული საკულტურო და საზოგადო საქმეები. ასეთ ორგანოთ არის მიღებული ერობაც.

ერობის მოქმედება უნდა გამხდარიყო ძალიან რთული და მრავალ-გვარი, რადგან ამ ორგანოს დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაკმაყოფილოს მრავალ-გვარი ადგილობრივი მოთხოვნილებანი, რომელნიც აღმოცენენ ახალმა გართულებულმა ცხოვრებამ. ერობის ერთი უმთავრესი დანიშნულება და საგანია ხალხის მეურნობას, მისი ეკონომიური ცხოვრების განკითარებას რომ დაეხმაროს და წარმატებაში შეიყვანოს. ბატონ-ყმობის გადაგარდნის შემდეგ, ხალხის მეურნობამ წმინდა საქონელთა წარმოების ხასიათი მიიღო. ერობაც, რამდენადაც იგი გაგლენას ბოლობს და ზედ მოქმედებას იქონიებს ეკონომიურს განკითარებაზე, უნდა ცდილიყო და ეშოქმედა, რომ დასმარებოდა მეურნობის ახალად გარდაქმნის საქმეს, საქონელთა წარმოების პროცესს.

თვით ის გარეგნება, რომ გადასასვლელი დადება მცხოვრებლებს ერობის მრავალ გვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იძულებულს ყოფს ეკონომიკა ნაწილი თვისი მოსავლისა, მაგ. ჭირნახულისა, ღვინისა, ხილისა, ბოსტნეულისა, ერთი სიტყვით, ქონებისა გაიტანოს ბაზარზე, რომ ხარჯების დასაფარავად როგორმე საჭირო ფული იშოვოს. ეკონომია გრობა, რომელსაც კი დახარჯავს ერობა თვისი საქმისთვის, იმის მომასწავებელია, რომ საქონელთა წარმოების, აღებ-მიცემობის საფერა გაფართოვდება. მთელ ამ მხარეში, სადაც არსდება ერობა, იწყება მიმოსვლის გასაუმჯობესებლად დიდი მარაგი და მზადება, საწყალ-განთლების საქმეც თავლ-საჩინოდ ფართოვდება. სოფელ-ქვეყნის მკვიდრთა მეურნობა თანამედროვე კულტურულ პირობებში ნიადაგს პოულობს, და მთელი ქვეყნის მეურნობა, კაცობა გაჩქარებულის ნაბიჯით წინ მიდის და კეთარდება. ეკონომია ზომები და კულტურული ეარაღები, რომელნიც მაღლა ასწევენ მთელი მხრის ეკონომიურს კეთილდღეობას, იმის წარმოების საქმეს, გაადიდებენ, გაამფარფოვებენ, დაჩქარებენ აგრეთვე საქონელთა მეურნობის წარმატების დიდს საქმესაც, და ამით ძველებურს კარჩაკეტილს, დაურეებულს ცხოვრებასაც ძირს უთხრიან.

რასაკვირველია, ასეთი მოელინება ცუდად მოქმედებს წვრილ, შეუძლო მეურნეზე, კერძო პაწია მოსაგეთრე ელეხებზე. ისინი უარესად ღატაკდებიან, ღარიბდებიან და ამ გარემოების ძალით ეღესკტობაში ჩნდება დიფერენციაცია, განაწილება, ერთი მხარე მდიდრდება, ხოლო მეორე, უმრავლესობა ღარიბდება, ეალებში კარდება. მაგრამ ამის შიშა სულ ტუტიდა აკარდნიათ თავში ამ ფეხ-ძარდ კაბატონებს, რომელნიც კითომ და ქართველი საღსის კეთილ-დღეობისათვის ნიანგის ცრემლებსა ღვრიან.*) ბაკშური სიფოფოჩით გატაცებულნი, ეს სინაქვნო „პუბლიცისტნი“ არ წითლდებიან და ისე გაიძახიან, რომ „ჩვენ ამ მხრით გეწინააღმდეგებით ერობასო“... ამ კაბატონებმა ისიც კი არიან, რომ ზომად დასახელებული პროცესი ჩვენებურ სოფელ-ეტეთა ცხოვრებაში უარობოდაც „ეკე დაიწყო

*) იხ. „ცვალი“ 1898 წ. ნომერი ან მახსოვს.

და იგი პროცესი, თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების კანონების თანმიმდევრობა, ეოველად აუცილებელია. ერობა მხოლოდ ეხმარება ამ აუცილებელ ეკოლიუციას. და, თუ გხუბავთ, ეკოლიუციის ასპარეზის არსებობისა, გაფართოებისა და გაღრმავებისათვის უველას დაინტერესების ხოლმე. ამ მხრით თითონ სალხი გაუწევს ანგარიშს ამ მოვლინებას, როგორც სხვანაც იქცევიან, და „პროპაგანდების- **) ჭირისუფლობა სალხისა ჩვენში უსაფუძვლოც არის, უგნურობაც და... კადნიერიც.

ეგ შიში ფეხ-მარდ „პუბლიცისტების“ სხვა მხრივაც უსაფუძვლოა... მაგრამ ვიკამათოთ ამ ყამად ის, რაცა ვთქვით.

წარმოებაში ტექნიკის განვითარებას, მიმოსვლის გაადვილებას გზების გაუკეთია, რომ ნამუშევარი კაცმა ბაზარზე გაიტანოს, რა თქმა უნდა, იმ შემლებულ და გამდიდრებულ კლასებისთვის აქ ს მნიშვნელობა, რომელთაც განვითარეს ტექნიკა, გაადვილეს წარმოება და ბაზარზე განუყოფელად გამოიტანეს საქონელი მიტომ კი არა, რომ გაზავებულზე იყიდონ თავიანთი გაყიდული ნაწარმოები.

ბაზარზე გამოსვლით მოიპოვა თვისი ცხოვრების წყარო შრომის გამყიდველმა, მუშამ და აგრეთვე საქონლის გამყიდველმაც. შრომის „ამყიდველიც ისე, როგორც საქონელი მარტო ბაზარზე პოულობს მუშტარს და მუშის ხელფასიც აქ გადაწყდება. ბაზარი ადგილებს მხოლოდ დიდად მწარმოებელ, ნაყოფიერ შრომას. ამიტომაც, ერობა, რამდენადაც იგი მოქმედობს ქვეყნის ეკონომიასა და მეურნობაზე, უმთავრესად ეხმარება შრომის წარმოების გადიდებას, განაყოფიერებას. აი, დიდი მადლი ერობისა. ერობა, მაშასადამე, თემცა გამომსტეველია და ანარეული „შეძლებულ თავად-აზნაურთა და მდიდარ გლეხ-კაცობის და იმათ სარბიელთა არის „ადაქცეული“, ერთი სიტყვით, შეძლებულ კლასთა ინტერესების გამომსტეველია, მაგრამ მთლად კი ერის ეკონომიურს ცხოვრებაში იგი მაინც დიდად პროგრესიულს ორგანოს წარმოადგენს, რადგან დახმარებას უწევს ტექნიკის განვითარების საქმეს.

ამიტომაც, არ შეიძლება კეკეკსიის მთავარ-მართებლის მოხსენებას ერობის მესაზებ დიდი თანაგრძნობით არ მიეგებოთ.

ჩვენი ქვეყანა ბუნებით უხვად დაჯილდოვებული და მეტად მდიდარი მხარეა მთელი რუსეთის იმპერიაში. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, მეურნობა რომ კულტურულად მაღლა აიწევდეს, ტექნიკა რომ განვითარდებოდეს ოტეთი მაინც არის, ამის. უეჭველია, დიდი, ნაყოფიერი ცვლილება მოუვა მიწა-წყლის შემუშავების, მეკვნეობის, ბაღოსნობის და, საზოგადოდ, მთელი მეურნეობისა. პროგრესი პირველისა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს პროგრესს აქ, მეორეგანაც. მაშინ ჩვენი ხალხის შრომაც გაუმჯობესდება და დაფასდება, ბაზარსაც ადვილად მოიპოვებს. ერობა მოუპოვებს მეურნობის საქმეს ჩვენში იმ ასპარეზს, რომელიც დღეს მას უამიარადოთ არ გააჩნია და, ამიტომაც, დღეს მთელი ჩვენი მატერიალური და სულიერი ძალთა დაკარგვიანობა, დაქვეითება ასე ხმა მაღლა ღაღადებს და მაღლა ცაში ღმერთს აწუხებს და ძირს დედა-მიწაზე კ'ცს. რაც უფრო ადრე და მალე მოისპობა ესეთი ჩვენი გაძღლებული ეოფა, რაც ადრე და მალე ჩვენს მეურნობას ჩამოეცლება დღეინდელი წინააღმდეგობანი და მაჯებელი საზოგადოეოფიერის პირობანი, მით უფრო მალე წაიწევს წინ მთელი ქვეყნის მეურნობის წარმოება, მით უფრო მალე გამოვალთ ეკონომიური კეთილ-დღეობის ასპარეზზე და წელში გავიმართებით.

ხომლელი.

აკაკი წერეთელი

როგორც მგოსანი მამულიშვილი.

(გაგრძელება *)

მერე მგოსანი ასე არჩევს: შიანაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო, ახლოს არ წამიკარეს და მოდი გავშორდები, წავალ შორს, იქნება იქიდამ უკეთ ვიმოქმედო და ხელშეუშლელად ვემსახურო მამულსო! ხედავთ?! მხოლოდ შორდება ხორციელათ, მაგრამ სულით და გულით მაინც ვერსად ვერა! მეტი სიყვარული იქნება?!

**) ერთი ჩვენი სტოროჟი პროპაგანდისტს „პროპაგანდს“ ეძახის.

*) იხ. „შინაური საქმ.“ № 11.

—სიტყვით საქმით და სურვილით
მე ნადევნი ყველასაგან,
ჩემი ნებით და სურვილით
აწ კი წავალ, დროა, სხვაგან.
ვეთხოვები იმა მხარეს,
სადაც ვიყავ ნაწამები,
სადაც ტკბილი არ მქონია
არა თუ დღე, არც წამები,
სადაც მხოლოდ პირადობას
არც ზომა აქვს, არც საზღვარი
და „საერთო“, „საზოგადო
არ იციან, თუ რა არი,
სად მოქმედობს სუსტი სმენა,
ავი ენა, ხარბი თვალი!...
—სადაც არ სწამთ და არც სჯერათ
საიმედო მომავალი.
ვერ შევსძლებ, რომ შეურიგდე
სკვითურ რიგს და იმათ წესსა!..
და უბრალოდ რად ვიტანჯო?
ისიც კმარა, რაც მაკვნესა!
წავალ სხვაგან და იქიდან
ვადევნებ მას ყურს და თვალსა
და უფრო ხელშეუშლელად
ვმსახურებ მის მომავალსა.

მგოსანი მიდის!.. მაგრამ ვაი ასეთს წასვლას! ვაი ამ გაყრას! იცით რა წუთია ეს წუთი?! მგოსნის გულში უიმედობის ქვითინი ისმის, სული ხორცს ეყრება, სიოოცხლე სიკვდილს ებრძვის.

წარმოიდგინეთ უნუგეშო მდგომარეობა იმ დედის, რომელმაც ეს ეს არი, თავის ერთადერთი შვილი, სიცოცხლის ყვავილი ცავს სამარეში უნდა ჩაუშვას და საუკუნოთ მოაცილოს მას თვალი! ამ სულიერს გენიას განიცდის აკაკიც სამშობლოს უნებურად მოშორებაზე!

გამოსათხოვარი სიტყვა გულს ეკალივით ედება, ლაბვარივით ხვდება და ღბედური მგოსანი გებრალება ამ უნუგეშო მდგომარეობაში. მისი გამწარებული ენა მდუღარებას ამოანთხევს, შორდება საყვარელს საგანს, მაგრამ სულს და გულს მის უბეშივე ანთხევს ცრემლნალვლად და ცალიერი ჩონჩხი, მოჩვენება ეყრება მას!

აი ეს გამოსათხოვარი სიტყვა.

—„მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული
მომაკვდავთ ენით არ ნამოითქმის!..
შენ იყავ ჩემი სიტყვა და საქმე
და თვით მიზეზიც წრფელი გულის თქმის!..
სიყმაწვილიდან მწარ სიბერემდე
ოქრო-ქსოვილად გეფინებოდი
და ვით ხატის წინ წმინდა სანთელი
შუქ-მოპარპალე უხმოდ ვდნებოდი.
შენის მოხიბლვით გამოწვეული
წინ მიმიძღოდა მეც ის ნათელი
და ჩემი ნატვრაც მხოლოდ ეს იყო,
სამაგიერო და სასყიდელი!
ვფიქრობდი შენ წინ წვითა და დაგვით
წმინდად დადნობას, ტკბილად გაქრობას,
მაგრამ სიწმინდის წიბილწვაც თურმე
არაფრად უჩანს შურსა და მტრობას!...
ან რაღა მეთქმის? კურთხეულ იყოს
—მიუწდომელი მაღლით განგება!..
ჩემი ნათელი ბნელად გეჩვენა
და წყევლა—კრულვად ქებათა—ქება!
უნდა მოგშორდე იძულებული!..
მშვიდობით, მაგრამ ვაი მშვიდობას,
თუ უნებურად შემცოდე რამე,
სულგრძელი იყავ! ვითხოვ შენდობას.

პოეტი მიდის! რაც სთქვა, აუსრულდა! სხვაგანაა, მაგრამ ვაი მისთანა ყოფნას! რომ ვერ სძლებს! რომ უზომოთ სტკივა გული, მაგრამ მაინც ვერ ივიწყებს უმადურს სამშობლოს, რადგან იგი ღმერთია და ხატი მისთვის და სადაც უნდა წავიდეს, მაინც ვერ დაემალება მას. ახლოს რომ იყო, თითქმის რცხვენოდა, ეკრძალებოდა ამ „სატრფოსი“ და სრულიად ვერც კი უბედავდა ალერსს. ახლა თვალით ვერ ხედავს და უფრო თამამია: რასაც კი შეხედავს, ყველაფერში სატრფოს სამშობლოს ხედავს, მას მოაგონებს, რაღაცა მსგავსებას ჰპოებს მათში და ტკბილი ერუანტელი უვლის ტანში!

აგერ სალამური, ეს ყმაწვილობის განუყრელი მეგობარი მოაგონდა, თითქოს მისი ხმა კიდეც ესმის, ყურში ულიტინებს და აი რა გრძნობებით მიეგებება პოეტი ამ ილლიუზიას:

—სად ხარ ჩემო სალამურო,—
ხმა ტკბილო და საამურო,
რომ შენის ხმით ჩრდილოეთში
ქართველს გული გამიხურო!
როცა მწყემსი გიპყრობს ხელში
და გაჰკივის მთა და ველში,
ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს
და სევდისას შაეს ქვესკნელში,
მაშინ ფიქრი ჩემი შენს ხმას,
გარს ეხვევა ვითა ძმა ძმას
და შენი კვნესით მაგონებს
საქართველოს მწარე მოთქმას.
ხან თათრები აკვნესებენ,
ხან თურქები აოხრებენ,
ხან სკვითიბი დროს შერჩევით
მყუდროებას უშფოთებენ!
მაშ უწყალო სალამურო,
მტირალო, არ საამურო,
რად მსურს შენი ხმა ვისმინო
და ქართვლის ბედს მოვემდურო?!
მაგრამ ზოგჯერ რომ ტკბილი ხმა
სანუგეშოზე მიჰფრენს აღმა
და ჩემ გიჟთა ოცნებათა
ხარბად ინთქავს უფსკრული ღრმა,
თავ-განწირულს მამულისშვილს
წარმოვიდგენ მაშინ ქართველს:
—მტერს შეჰყვიროს: „ჰკა მაგასა!“
გამოსული ბრძოლისა ველს.
აბა ეს ხმა, სალამურო,
ტკბილ-ხმოვანთ, საამურო,
აროდეს არ მომყირჭდება,
ძალ-გიძს მუდამ მომაწყურო!
ქართულად ჰკვნეს, ქართულად ჰსტვენ,
ქართველის გულს ამით ულხენ,
ხასიათს და ჩვეულებას
წინა-პართა გვაგონებ ჩვენ....
მაგრამ, ჩემო სალამურო,
გრძნობით მსტვენო, საამურო,
აღარვინ გიგდებს დღეს ყურს,
სჯობს ისევ მწყემსს ემსახურო!..

დაუგდო ყური მგოსანმა და იქ შორით შიქასტის ხმა მოესმა, ისევ ნაცნობი ხმა, ისევ ძველი საქართველო მოაგონდა და აუდუღდა გული! ნაცნობმა ხმამ საოცნებო წარსულში გადააფრინა და აწმყოს რომ შეუდარა, სევდით აივსო და თავი რომ ველარ შეიკავა მიაძახა მეზურნეს:

—ახ, მეზურნეე, დაჰკა! დაჰკა!
გამაგონე ეგ სევდის ხმა!
მაგაშია ჩემთა ძველთა
მამაცური ოხვრა, მოთქმა.
გამიხურე ჰანგით გული,
ეგებ დასდნეს მწუხარება
და ჩემ თვალთა გადმოსთხიონ
ნაღვლიანი მდუღარება!
ვიცი, ცრემლი მამა-კაცსა
შეარცხვენს და არ შეშვენის,
მაგრამ მიჯობს, ჩუმად ტანჯვას,
ცრემლი ვლვარო, არა მრცხვენის
—ნურვინ ცდილობს, იმ ცრემლებში
ნახოს კერძო სიყვარული!.
იქ იქნება საიდუმლო,
გულ-გამხეთქი, დაფარული!...

—

ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლილ.
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი!
რას მიქვიან პირადი მწუხარემა?
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!
ვილას ახსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი,
მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!
ფეხ-შიშველა, თავზედ ლეჩაქ ახდილი,
უგრძნობლად ჰხდის საწყალს საღათას ძილი!
თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი,
თუმცა გულს მწვავს მწუხარების მეალი.
მაგრამ მაინც ვიცინი სამ ნაირად
და მჭვრეტელთაც ესა აქვთ გასაკვირვად:
„ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო.
ეს იცინის?.. როგორ არა რცხვენისო!
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!..
და სიცილი ზოგჯერ ცრემლზედ მწარია!..

—

ამ მოშხამულს გრძნობებს ცოტა შელავათს ალევს ისევ „მკვნესარნი სიმნი“, ჩანგის „მწარე მოთქმა“, „მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა გულს გადაფერავს მოდებულს ჟანგსა“, „ის არის მისი თანამგრძნობელი“, „ეალერსება ვითა მშობელი და ცრემლით ადნობს მის მწუხარებას“. ისმენს მით, რომ „სიმებმა“ მგოსანის „გონება გააცოცხლეს, აამღელვარეს, მისცეს წარსულთა დროთ მოგონება და გარდიტანეს სამშობლო მხარეს!“

ახლა სულ ამ მკვნესარ სიმებს დალდევს უკან და მათ ხმაზე, მშობლიურ ხმაზე გამწარებული ეძებს დაკარგულს „სატრფოს“—სამშობლოს. ძებნის დროს სულ ელანდება, ეჩვენება სატრფო, წყალწალებულივით, ნაფოტი და ხავსიც კი მაგარ ბურჯად ეჩვენება და ხელს სჭიდებს, იქნება, ამ მოშხამულ გრძნობათა ზღვიდან გამოვიდეს, იქნებ სატრფო იპოვოს, მაგრამ ხსნა არაა! ისევ მოტყუვდა, სასტიკად მოტყუვდა და სენი გაუორკეცდა!

—მიყვარს თარი გულსაკლავად მკვნესარი,
მწუხარების უკუმყრელი ესარი!..
მით ვივიწყებ ამ ქვეყნისა მე მცნებას,
შორს მივყევარ მომხიბლავსა ოცნებას:
ქვეყნიერად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,
ათასფერად შეხამებულს მის კუთხეს;
ყვავილებსა, სუნნელების მფშვინავსა
და ბულბულსა ზედ საამოდ მსტვინავსა.
ცით მოწმობენ ვარსკვლავები და მთვარე!.
არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე,
რადგანც ელის განთიადის ცისკირსა!
ის სამწუხროდ არ გააღებს მის კარსა!
რა ხალხია? რა ხალხია აქ მდგმური!
ერთობა და სიყვარული აქვთ ძმური!
აქ ქალები ვარდივით იშლებიან,
წმინდის საქმით და გრძნობით იგზნებიან.
სამშობლოსთვის შეუწირავთ მთლად გული.
და უსტვენენ ისე, როგორც ბულბული!..
ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მხარეა?
მაგრამ არა!..—ვიცით, რომ სიზმარია,
სიმი შესწყდა... თარმა ხმა შეიცვალა,
ოცნებამაც დაჰკარგა მისი ძალა,
თვალ-წინ ჰქრება საამური შვენება:
ბაღის ნაცვლად სხვა რამე მეჩვენება!

—

ასე სამწუხაროდ გაუთავდა ჩვენს სნეულს მგოსანს თავისი ტკბილი ოცნება! თურმე რას ეტრფოდა? სამშობლოს სამოთხეთ გადაქცევას! მაგრამ სადაა! სულ გაუქრა თვალთაგან სატრფო“ და მგოსანსაც თითქმის სიგიჟე დაეტყო მეტის სევდით. გავარდა ველად, ეძებს ხელივით, ტარიელივით, თანაც უხმობს გმირებს, უყივის ავთანდილს, ფრიდონს.... ბოლოსაც, თვალი მოჰკრა სატრფოს“, გაექანა მისკენ, მაგრამ რომ არ ენახა ის ერჩია! მისმა ნახვამ დამწვარზე მდულარე გადაესხა! ისევ უფსკრულის პირზედ დაინახა და შიშის ზარი დასცა თავზე ამ სანახაობამ. სერიდამ დაინახა, რომ ისევ „სხვას მონებდა“, „გაუკვირდა და სთქვა: მტერს როგორ მონებდა?

მოხიბლული და შემცდარი, ის არი!...
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!
მივაძახე: ჭინჭარში ნუ ვარდები!
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე,
არ მისმინა მწუხარებით დანამულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

მერე თავს ჰკიცხავს, თუ ამაზე მეტი ნდობა აღარ მქონდა სატრფოსი, ნეტავ ამდენი მაინც აღარ მეძებნა ტყუილაო!

—ალმართ-ალმართ მივდიოდი ნეტარად?
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?
ჩემო თავო! ველარ გკურვნენ წამალით!
დალმართ-დალმართ დაუყევი, წა მალით!
იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის,
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

განისვენოს, მაგრამ ვინ იცის, რომ იქაც, სამარეშიც, არ ჩაყვება ეს სევდები და იქაც არ მოეწამლება ყოფა! ამაზე რა დაფიქრდა, მგოსანი ერთს კითხვას აძლევს თავს: რა მიზეზი უნდა იყოს, რომ "სატრფო" მას

ასე შეუბრალებლად ეპყრობა, ასე ულვთოდ აცვამს ჯვარზე? იქნება ვერ მიუხვდა სიყვარულს და იჭვის თვალით უყურებს? იქნება გაუგებრობის ბრალია! რაკი ამ ახრმა გაუელვა, მგოსანი ისევ მოიცემს გულს, გამხნევდება, მიუტრიალდება „სატრფოს", და ხან თავს აბრალებს, ხან არწმუნებს ღრმა სიყვარულში.

— რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები!
ცაზედ მზეა, ქვეყანაზედ შენა ხარ!
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ!
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარ!
სიხარულო, ჩემი გულის დენა ხარ!
ეკლით ნუ მჩხვლეტ, დამიბრუნე ვარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!..
ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გალმერთოს ციურად მომცინარი,
თუ არ მევე?.. გინდა ვიყო მძინარი,
შენი სახე მაინც ჩემ თვალთ წინ არი;
თუ გამიქრა, კლდეზედ გადავარდები!
აწ რაღა ვარ შენგან ტრფობას ჩვეული?
გაყრის წამი ჩვენი იყოს წყეული!...
სჯობს შევრიგდეთ!.. ფეხთქვეშ დაგიგარდები!..

ამნაირად თვითონვე მგოსანმა დასთმო შეურაცხება, თავმოყვარეობა და შეურიგდა სატრფოს, რადგან მის მოშორებამ დაასნეულა და დაავადა!

— ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო:
ვერ ავიტანე იბლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.
წინ მომეგებენ ლიმილით
შენი მზე შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკან ვყარეო—
ია და ვარდი დამეკნარი
ხელ ახლად გამიხარეო,
— ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო.
ნურც მკვდარს გამწირავ,
ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო—
და რომ მოვკვდები გახსოვდეს
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ—
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!..

აწ იწყება ახალი საგალობელი, ჰიმნი აკაკის თვალცრემლიან პოეზიაში და მისი მწუხრიც თან-და-თან უახლოვდება მხიარულს დილას; ეტყობა რომ შორს არ უნდა იყოს გათენება; ნაღველი და თაფლი, ბნელი და ნათელი ერთი მეორეს ეჭიდებიან, ერთმანეთში ირევიან და თუ კაცი ძაან დააკვირდება, წინდაწინვე შეატყობს, იგრძნობს მაინცა, რომ ნათელმა უნდა სძლიოს ბნელს, დილამ—მწუხრს, სიცილმა ტირილს, სიცოცხლემ—სიკვდილს, იმედმა—უიმედობას!

მღვდელი მ. კელენჯერიძე.

(შემდეგი იქნება)



ადამიანის დანიშნულება.

ბევნი იძლევიან კითხვას, რისთვის ცხოვრობს ადამიანი. ამ კითხვის აღსნისათვის ნორს სიარული საჭირო არ არის. თუ გვინდა სისწორით განვსაზღვროთ მიზანი კაცის ცხოვრებისა, უნდა ჩავიხედოთ მის შინაგან სულიერ მსოფლიოში, მის ჰაზრების, სურვილების სურვილების სამყაროში; და თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით მის სულის მოძრაობათა, დავინახავთ, რო მიზანს მის არსებობისას შეადგენს თვით ცხოვრება. ყველას სურს იცხოვროს; ყველა სცდილობს თავი დაიფაროს ყოველივე იმისგან, რაც მათ ცხოვრე-

ბაზე ცუდად მოქმედებს, და ელტვის მას, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს მათ ცხოვრებას. უმაღლეს სულიერ ლტოლვილებათა ნამდვილ მიზანსაც კი სიცოცხლის დაცვა შეადგენს; ყველას უნდა, რომ ხედვიდეს ამ ქვეყნის სულიერ და ხორციელ სიამეთა, გრძნობდეს თვის მყოფობასა. მართალია, არიან ისეთი პირები. რომლებსაც ეს სოფელი და აქაური ცხოვრება სძაგთ და მზად არიან გულდაუწყვეტლად გამოესალმონ მათ, მაგრამ ათეულთა, თუ გინდ, ასეულთა მაგალითი საზოგადო კანონს, საერთო მოვლენას ვერ შესცვლის. უდიდესს უმრავლესობას სწყურია სიცოცხე. დიად მიზანი კაცის ცხოვრებისა მდგომარეობს თვით მის ცხოვრებაში, იგი ცხოვრობს მისთვის, რომ იცხოვროს, ხოლო რაში უნდა მდგომარეობდეს შინაარსი კაცის ცხოვრებისა, როგორ უნდა ცხოვრობდეს იგი, რათ უნდა ცხოვრობდეს იგი, რა უნდა ჰქმნას მან? ცხოვრება არის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ორგანიზმს, რომელიც უნდა იყოს იგი, შეუძლია იცხოვროს მაშინ, თუ მისი მოთხოვნილებები კმაყოფილდება. მცენარისათვის საჭიროა ნაყოფიერი ნიადაგი, სისოვლე, მზის სხივები და სხვა; თუ ის ყოველივე ამით გარემოცულია, მაშინ იგი ხარობს, იზრდება, ჰყვავის. პირუტყვი თხოულობს წყალს, საჭმელს, სუფთა ჰაერს და სხვა, თუ ესენი მას აქვს, მაშინ იგი ცხოვრობს. ასევე ადამიანიც ცხოვრობს მაშინ, როცა იმის ბუნების მოთხოვნილებები კმაყოფილდება. მაგრამ როცა ვამბობთ, რომ ადამიანი ცხოვრობს მაშინ, თუ მისი მოთხოვნილებები კმაყოფილდებაო, ამით ჯერედ არ იჩვენება სისწორით, თუ როდის შეუძლია კაცს იცხოვროს ნამდვილ, ნორმალურ ცხოვრებითა. ადამიანში არის ბევრი ისეთი მოთხოვნილებები, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ. მიდრეკილებები, რომლებსაც მთელ კაცობრიობის ცნობიერებას სამარცხვინოდ, დამლუპველად სთვლის; ამის გამო სისწორით უნდა განისაზღვროს, თუ რომელი მოთხოვნილებების, ანუ მიდრეკილებების დაკმაყოფილებით იწარმოების, შესრულდების წესიერად ადამიანის ცხოვრება. ავიღოთ ჯერ ერთი მხარე ადამიანის ბუნებისა,—ხორციელი. კაცისათვის საჭიროა საზრდო, სასმელი, სამოსელი, თავშესაფარი, დასვენება, ძილი და სხვა; თუ ეს მისი ხორციელი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მაშინ იგი საღად და მსხნედაა, მაშინ იგი ცხოვრობს; და თუ არ არის, მაშინ იგი სუსტდება და ვერ სცხოვრობს. მაგრამ ადამიანის ხორციელ ორგანიზმში იმ მოთხოვნილებებთან ერთად, რომლების დაკმაყოფილება საჭიროა სიცოცხლის დაცვისათვის, არის კიდევ სხვა მოთხოვნილებები: მას აქვს სურვილი ხშირად მომეტებულად და ძლიერ ტკბილად სჭამოს და სვას, დიდხნობით მიეცეს ძილსა და მოსვენებას, ხშირად და უფრო საგრძნობელად დააკმაყოფილოს სქესებრივი მოთხოვნილება და სხვა; ამ გვარ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორც ყოველ დღიური დაკვირვება და გამოცდილება გვიმტკიცებს, სხეულის კეთილ მდგომარეობას ხელს არ უწყობს, არამედ პირ იქით ვნებს მას; ხანგრძლივი შესვენება და ძილი კაცს ანებივრებს, უძლურ ჰყოფს მას შრომისათვის; სასმლისა და საჭმლის უზომოდ მიღება გამოიწვევს საჭმლის მოსანელებელ ორგანოების მოშლილობას, ავხორცობისაგან ნერვები სუსტდება და სხვა. ამ ნაირად კაცი თვის ხორციელ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში უნდა მისდევდეს შემდეგ კანონს: მან უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ის მოთხოვნილებები, რომლებიც სიცოცხლეს იცავენ, და დაჟინებით უარი უნდა უთხრას იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც, ორგანიზმზე ცუდად მოქმედებენ, არღვევენ, რყვნიან მისს ბუნებას. ახლა ავიღოთ მეორე მხარე ადამიანის ბუნებისა,—სულიერი. კაცს აქვს სურვილი, დააკვირდეს და შენიშნოს საგნების და მოვლენების თვისებები და მოქმედება, გაიგოს რა არის და რა ხდება მიწაზე, მის სიღრმეში და მის მაღლა, მსოფლიოს სივრცეში, შეიტყოს, თუ რა იყო წარსულ დროებაში, მას სურს ეწეოდეს სხვებსა და აგრეთვე რომ მასაც პასუხს აძლევდენ სიყვარულითა და დახმარებით; მას უნდა, როგორც თვით იგი, ისე სხვებიც იყვნენ აღვსილნი სიხარულითა და რომ ეს სიყვარული უცვლელი და სამუდამო იყვეს; ის

ისწრაფვის შეუერთდეს უფალსა და სხვა. თუ ეს მოთხოვრილებები დაკმაყოფილებულია, მაშინ ადამიანის სულის მოქმედება ჯეროვანად სრულდება, და იგი ცხოვრობს. და თუ ისინი დაკმაყოფილებულნი არ არიან, მაშინ სულის მოქმედება კრთდება და მას ბოლო ედება. მაგრამ ზემოხსენებულ მოთხოვილებებთან ანუ მიდრეკილებებთან ერთად ადამიანს აქვს კიდევ სხვა მიდრეკილებები: ის სცდილობს გამოვიდეს ღვთისადმი მორჩილებიდან და სახელმძღვანელო დასაბამად თვის ცხოვრებისა დასდოს თვისი „მე“, თვისი აღვირწახსნილი ნება; ის ფიცხობს, შურით ივსება, სხვას აწუხებს, სხვის ბედნიერებას სპობს და სხვა; ამისთანა სურვილების აღსრულებას დიდი მავნებელი შედეგი მოსდევს ადამიანისათვის, იგი აღავსებს მის სულს სამწუხარო გრძნობებითა, ბადებს მაში შინაგან უთანხმოებას, არეულობას, უკმაყოფილებას თავის თავით და გარემომცველ წრითა, ამხედრებს მის წინააღმდეგ მის გარშემო მყოფთ პირთა და აძლევს მათ მიზეზს ავნონ მას, მოუწამლონ მას სიცოცხლე, აშორებს მის ყურადღებას და სულის ძალთა მის პირდაპირის დანიშნულებისაგან, ხელს უშლის მის წესიერ მოქმედებასა, განვითარებას, ჰქმნის ნერვების აშლილობას, რის გამო მისი სული უფრო სუსტდება. მაშასადამე იმ კითხვაშიც, თუ რომელი სულიერი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს, რათა ცხოვრება სულისა წესიერად წარმოებდეს, კაცმა უნდა იხელმძღვანელოს იმავე კანონითა, რომელიც ნაჩვენებია ფიზიკურ მოთხოვნილებებისათვის სახელდობრ იმით, რომ კაცმა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ის მოთხოვნილებები, რომლების დაკმაყოფილება სულისათვის სასიკეთოა, რომელიც მაში ჰარმონიას ამეფებს და სიცხოველით ალავსებს.

ამნაირად ზემონათქვამიდან ცხადად სჩანს, თუ როგორი კანონით უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი თვის ცხოვრებაში. მან უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ის მოთხოვნილებანი, სულიერი და ხორციელი, რომლების დაკმაყოფილება მის სულის და ხორცს მდგომარეობაზე კეთილად მოქმედობს, და უარი უნდა უთხრას იმ მოთხოვნილებებს, რომლების დაკმაყოფილება მისთვისაც და სხვებისთვისაც საზარალოა, ანუ სხვანაირად რომ იქვას. მან უნდა ჰქმნას კეთილი და მოერიდოს ბოროტებასა; კეთილად უნდა იწოდოს კაცისათვის სასიკეთო მოთხოვნილებები, ხოლო ბოროტებად დამღუპველი მოთხოვნილებები. ეს კანონი შეადგენს დედა აზრს სინიდისის ხმისას, და ამ კანონისავე გამომხატველნი, შემცველნი არიან იესო ქრისტეს მცნებანი, რომელნიც გვიბრძანებენ კეთილი შევისისხლხორცოთ და ბოროტებას განვეშორეთ. თუ პირუთვნელად და გულდასმით დავუკვირდებით კაცის ცხოვრების ცხად ყოფათა, მოვლენათა, დავინახავთ, რომ რასაც სვინიდისი და სახარება გვიკრძალავს, ის ადამიანისთვის დამღუპველია, ანუ ყოველ შემთხვევაში, იგი ხელს უშლის მის ცხოვრების აყვავებასა; ხოლო ის, რისიც ქმნას სინიდისი და სახარება გვირჩევს, სასარგებლოა, ანვითარებს სულსა. ამნაირად ადამიანი ცხოვრობს მაშინ, როცა ის კეთილს იქმს, ე. ი. როცა ის აკმაყოფილებს თვის ბუნებისათვის სასიკეთოთა და სინიდისისა და სახარების მიერ ნება დართულ მოთხოვნილებათა, მისწრაფებათა და სურვილთა; და მისი ცხოვრება მით უფრო სრულია, რამდენადაც იგი უფრო ბევრ კანონიერ კეთილმოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. რამდენადაც კეთილი იგივე ბედნიერებაა, ე. ი. კეთილმოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამც თუ მარტო იცავს ადამიანის ცხოვრებას, არამედ კიდევაც ანიჭებს მას ბედნიერებას, აწარმოებს მასში ტკბილ და სასიხარულო სულიერ განწყობილებათა, გრძნობათა. ამიტომ ლექსი: კაცმა უნდა დააკმაყოფილოს თვისი საუკეთესო და ზნეობრივ კანონთან შეთანხმებული მოთხოვნილებები, რათა იცხოვროს, ერთმნიშვნელოვანია ამ ლექსთან: ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს თვის კეთილ მოთხოვნილებებსა, რათა იგი ბედნიერ იყოს; აქედან ერთი და იგივეა, როცა გამბობთ, რომ ადამიანი ცხოვრობს, რათა იცხოვროს, ე. ი. თვისი კანონიერი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს, და ან როცა ვიტყვით, რო კაცი ბედნიერებისათვის

ცხოვრობს.

რომ კაცმან თვისი ცხოვრება უფრო სრულად ცხად-ჰყოს და ბედნიერება უფრო სავსებით იგემოს, ამისათვის საჭიროა, რომ მას ხელის შემწყობი პირობები გარემოიცავდეს. მძიმე გარეგანი პირობები სულს ავიწროებს, ხშავს და მას განვითარების ნებას არ ძლევს და აიძულებს მას ბოროტებისადმი; ამის გამო ნამდვილი სრული ცხოვრება და ბედნიერება შესაძლებელია მხოლოდ ხელის შემწყობ ზედგავლენებსა და გარეგან პირობებში; ამისანა პირობები არიან: სარწმუნოებრივი და ზნეობით აღზრდა, გონებრივი განათლება, ფიზიკური განვითარება, ეკონომიური და სოციალური წესწყობილება და საერთაშორისო დამოკიდებულება.

რამპოლა.

არის, თუ არა, სასწაული?

აღვალთ იერუსალიმად და ძე კაცისა მიეცემის ხელთა წარმართთასა და ჯვარს ატვან იგი, და სტანჯონ, და მოჰკლან მესამესა დღესა აღსდგეს.

ამბობენ ქვეყანაზე სასწაული არ სდებია. არ იციან უგნურებმა, რომ მთელი ქვეყნიერება, მთელი მსოფლიო თაყვის მზეებით, მთვარეებით და კრსკვლავებით ერთ დიდ სასწაულს წარმოადგენს! განა სასწაული არ არის ყველაზეერი ის, რაც აღემატება ადამიანის ძალ-ღონეს? ვის ძალუშს შეამოკლოს დღე და ღამე, შესცვალოს დედამიწის და მნათობთა მოძრაობა? ვის შეუძლია აღმოაცენოს ანა თუ ხე, ან ბალახი, არამედ შექმნას უბრალო ფოთოლიც კი და მით უფრო ნაყოფი? სინჯეთ, მოიგონეთ და მიუმატეთ ბუნებას ისეთი საგანი, ისეთი მცენარე, ისეთი კრსკვლავი, რომელიც არ არის დაშენებულისაგან შექმნილა; თქვენ შეგიძლია სხვა და სხვა საგნები ერთმანეთში აურიოთ, შეაზოთ, სხვა ფორმა სხვა სახე მისცეთ, მაგრამ სრულიად ახალი საგნის შექმნა თქვენ ღონეს აღემატება, ეს ღვთის უფლებაშია და მაშასადამე სასწაული. და თუ ამ ყოველდღიურ მოვლენას ჩვენ სასწაულს არ ვეძახით, ეს მიტომ, რომ ყოველდღიურია, შეჩვეული ვართ, არ ვაკვირდებით, ან შეგეთ ვსთქვათ არ ვაკვირდებით, ყურადღებას არ ვაქცევთ.

ესეეე უნდა ითქვას ქრისტეს შეუდარებელ, უბრალო და უმაღალითო პიროვნებაზე. დღეს ადარავინ აკვირდება, არავინ თაყვანს ეცემა, არავინ ეზრახებოდ ნებს მის პიროვნებაზე, არავის უნდა დაუფიქრდეს მის ცხოვრებას, მის მოქმედებას და მოღვაწეობას, რომ დაინახოს მისი ღვთაებრივი სახე, რომ შეიგნოს მისი ზეკაცობა, რომ არ აურიოს იგი უბრალო მომაკვდავებში, უბრალო და უსაქმო მაქადაგებლებში, ულუსურ და უგნურ კაცუნებში, რომელთაც არ შეუძლიათ ხეირიანად მარცხენა ხელი მარჯვენისაგან გამოიცნონ და თავის უგნურების სამაღლიდგან კი თაყვანს ეცემიან ქრისტეს მაგიერობა, ან შეგეთ ვსთქვათ თვით ქრისტეობა, გაუწიონ გალობრიობას. „ქრისტე ჩვენისანა პროპაგანდისტი იეოვაო“, ხშირად გაიგონებთ ახალმოდის მოძღვრისაგან. უგნურმა არ იცის, რას ამბობს: არ იცნობს ქრისტეს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, იცნობს სახარების ქრისტეს კი არა, იმ ქრისტეს კი არა, რომელიც იხილეს და ჭვალეს მოციქულებმა—გულუბრყვილო, უბრალო მეთევზეებმა, არამედ ამას, რომელიც მოაგონა, რომელიც შექმნა ბებულის, რენანის და ამხანაგობის მოცალულმა ოცნებამ, იმ ქრისტეს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სახარების ქრისტესთან და ამდენად ჰგავს ამ უკანასკნელს, რამდენადაც ის, ვინც დღეს მოძღვრად გახდომია ხალხს და სამოთხეს უქადის ქვეყნიერებაზე, ნეტარებას ჭვირდება სოციალიზმში. დიახ, ვერ იცნობს დღეანდელი მოძღვარი ქრისტეს, ისე ვერ იცნობს, როგორც ვერ იცნეს იგი ურიების მთავრებმა. და სწორეთ ეს არის მიზეზი დღეანდელი გზადაბნეულობისა სარწმუნოების საქმეში. ამიტომ კისაც სურს, სასწორით დაუფასოს ქრისტეს პიროვნება, მან უნდა განიხილოს და დაუფასოს სიტყვანი და მოქმედებანი მისნი და განსაზროს: შესაძლებელია, თუ არა, უბრალო მომაკვდავისაგან ის, რაც მოამოქმედა ი. ქრისტემ? დღეანდელი დღესასწაული ერთი უდიდესი მოწამეობანია ი. ქრისტეს ღვთაებრიობისა. ჯვარცმის წინა დღეებში იესო ქრისტემ ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მოციქულებს: „აჰა ესერა ადვალთ

ეერუსალიმად და ძე კაცისა მიეცემის ხელთა წარ-
მართთასა და სტანჯონ იგი, და ჯვარს აცვან და
მოჰკლონ, და მესამესა დღესა აღსდგეს". აშკარაა,
რომ მაცხოვარმა იცის თუ რა მოელის მას იერუ-
სალიმში, იცის, რომ მას სტანჯავენ, ჯვარს აც-
მეკვენ, მაგრამ მაინც მიდის, მიდის თავის ნებით,
ძალდაუტანებლად, მიდის სრული შეგნებით, რომ
იტანჯოს, ჯვარს ეცვას კეთილგონიერებისათვის, მი-
დის უშიშრად, არ იმალება, არავის შეელას არ
სთხოვს, მხოლოდ მოციქულებს ეფრთხილებს, არ
შესცდენ, ოდეს იხილონ ჯვარზე დამოკიდებული.
როგორ ფიქრობთ: განა შეეფერება უბრალო მო-
მაკვდავს ასეთი თავგანწირულება? ვინ ჩვენგანი
წინდაწინ იგრძნობს სიფრხეს და არ მოერიდება?
ვინ კეთილგანი თავის ნებით მიეცემა მტარვალებს?
ვის მიუსჯიან სიკვდილს და არ დაიმალება, თუ სა-
შველება აქვს დამალვისა? მერმე როგორი სიკვდი-
ლი მიელის მაცხოვარს? ჯვარზე სიკვდილი, სა-
მარცხვინო იკვდილი, სიკვდილი აკაზაკისა, წეული
სიკვდილი: „წეული იყოს ჯვარსა ზედა და-
მოკიდებული", ამბობს წიგნი. იესო მიბრძანდება
ნებსით სიკვდილად არა კეთილი მონა, არა კეთილ-
ი აკაზაკი, არამედ კეთილი მეფე, კეთილი კრა-
კი უმანკო, უცოდველი, უდანაშაულო. ჭოა სასწა-
ული: იმას, ვისაც ხელ ეკლის გვირგვინს დაადგ-
მენ, ქალიმდს ჩაცვამენ, სამეფო სკიპტრის მაგი-
ერ ლელწამს მისცემენ ხელში, რომელსა უკრამლის
სცემენ, რომელსა ნერწყვენ, დღეს მეფურად ღებუ-
ლობენ, მეფურ ხატავს ცემენ, ფეხს მიწონით ბა-
ნენ, გზას ტანისამოსით და ხალებით უფენენ,
ეგვდრების მაგიერ „ოსანნს" უკადრობენ. უკადრ-
ბენ ერმანი და მოხუცებულნი, ქალი და კაცი, უკა-
ლობენ ჩჩვილნიც ძუძუმწოვარნი. ფარისეველნი და
მოსაკრნი ურიათანი სცდილობენ გაანუმონ ერმანი
და ძუძუმწოვარნი, სცდილობენ დაადუმონ ენანი,
რომელთა განძრახ ამ დღისთვის ისწავეს „ოსა-
ნნს" კადრობა, მაგრამ ვერ ახერხებენ და თვით მაც-
ხოვარს სთხოვენ დატუქსოს იგინი, ხოლო მაც-
ხოვარი სამართლიანად შენიშნავს: შეეთუ ესენ-
ი დაკადუმო, ქვანიცა აღადგდენო. და რა
გასაკვირველია ქვანი, რომ აღადგდენ? გა-
ნა ძუძუმწოვარი ქვა არ არის? ვისაც
ძალუძს აღმოჩარეკოს ძუძუმწოვრები, განა მისთ-
ვის შეუძლებელია, აღადგდოს ქვებიც? მაცხოვარს
არ ეეჭვრებოდა თავის სიდიდეებლად არც ერმოთ
გალობა და არც ქვათა ღაღადი: თვით მან კარგად
იცოდა, ვინ იყო სად მიდიოდა; არამედ რათა
აღესრულოს თქმული წინასწარმეტყველისა: „რამე-
რამეთუ მარადის ჩჩვილთათა დამტკიცენ ქება"
და რათა სცნონ, რამეთუ იგი არს ნეშმარიტი ძე
ღვთისა და მოძღვრება მისი არს უმაღლესი სი-
მართლე და ნეშმარიტება. მაგრამ ჭეეს ადამიანის
გული ქვაზე უქვაესი ყოფილა. ებრაელების მთა-
ვრთა გული არ სცემდა სურთო სიხარულით, ფა-
რისეველთა ბაგენი არ უკადრობენ მაცხოვარს
„ოსანნასა". იგინი ხედავენ, რომ მათი მთავრო-
ბა იროკეოდა და უდონონი, უძლურნი თვით ქრისა-
ტეს სთხოვდნენ შემწეობასა; „უფალო ეარძანე, ეა-
თ დასდუმენ, რომელნი იგი გეკადრებენ
ოსანნასა". მათ გულისწყრომას საზღვარი არ ჰქონ-
და, რაცა ხედავენ, ნაზარეველის დიდებას: გუ-
ლის ფანცქალით მოელოდენ მარჯვე დროს, რომ
შეეშურათ იგი და მიეცათ სიკვდილად. მაცხოვარი
ხედავდა ეველა ამას: და არა თუ იმალებოდა, არამედ
განცხადებულად ასწავლიდა და მრავალ სასწაულმნი
იქმოდა, რადგან იცოდა უფალმან, რომ იგი სიკვ-
დილითა სიკვდილს დასთრგუნავდა და უკვდავებას
მაინიჭებდა კეთილ ნათესავსა, ეკვდავებას, რომელ-
ი დაჭვარგა ადამიანმა სამოთხეში.

მის აქეთ გადის ეგერ ორი ათასი წელიწადი;
ვინ ეკითხებოდა ამ ეროვნებასა, ეროვნებამ ეხილა ცხოველმოფენელი ჯვარცმა მა-
ცხოვრისა და, განდა მოწამე მისი დადებული ად-
ადგომისა; ვინ იცოდა მისი ძალუბელი ეელი წინა-
ადმდეგ ფარისეველთა მძიმე ეელისა, იცნა ეეროა
მისი ღვთაებრივი მოძღვრებისა, იეეს სიტკბოება
მისი სიტყვისა და ხორცისა, ნახა მრავალი, ერი-
ცხეი მეგალითი მისი ღვთაებრობისა და აქვ მთელ
დედამიწის ზურგზე გაისმის დღეს დადებული სა-
ეალობელი ებრაელ ერმებისა „ოსანნ მაღალთაშინა,
ეურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა,
ოსანნ ძესა დავითისასა". მაგრამ არიან ამაეე დროს
მწე,ნობარნიც და ფარისეველნი, რომელთა ეულს
ეახეარეთ ხედვა ეს სამღვთო სეგალობელი,
რომლებსაც მოსეენებას არ აძლეეს ნაზარეველის
დიდება. იგინი არ ღებულობენ მონაწილეობას ღვ-
ანდელ სურთო, სეჭრისტიანო სიხარულსა, მათი
ბაგენი არ უკადრობენ ჩვენთან ერთად „ოსანნასა"
ეეეე ნამდვილ ღვთაებას, არა ენებად მამაკაცს, არა-

შენ შეგეე დიდებულს მცხოვარს. მაგრამ ამათ ნუ შეგდრეკებათ ჩვენ, მორწმუნენო! განკაგრძოთ დიდებული „ოსანნა“ და კილოცოთ მათთვის, ვინც განდგომალნი ხ�, რათა ღმერთმა მოწყალებითა თვისითა აგვანაცა მოაქცინის და შემოუერთოს წმიდასა თვისსა კათოლიკესა და სამოციქულოსა ეკლესიასა, „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“. ამინ. მღვ. ნ. მგელიძე.

ყავს თუ არა ექიმი საქალაქო საეპარქიო სასწავლებელს?

ბიბლიათ დამავალებს, ვინც ამ კითხვაზე გადაჭრილ და უტყუარ პასუხს მომცემს ყოველმა კაცმა თავისი მოვალეობა უნდა იცოდეს და ყველა იმას უნდა ითხოვდეს მეორესაგან, რაშიდაც ის მასთან მოვალეა. ამას წინეთ ჩემი შვილი, რომელიც ამ სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში სწავლობს, ავად გამიხდა. ეს ბავშვი ბინათ იქვე, სასწავლებლიდან რამოდენიმე ნაბიჯის მანძილზე მყავს. მითხრეს—სასწავლებელს საკუთარი ექიმი ყავსო და გავეშურე სასწავლებელში. სასწავლებლის ექიმი ბ. ბადრიძე იქ დამხვდა და შინ წასასვლელად ემზადებოდა. მეც გამოვყევ და, როცა ჩემი ბავშვის ბინას გაუსწორდით, ვთხოვე შემოეხვია და ბავშვი ენახა. მან შემოხვევაზე, რასაც სულ 2—3 მინუტი მოუნდებოდა, სასტიკი უარი მითხრა და ბრძანების კილოთი გამომიცხადა—ბინაზე მივსულიყავ მასთან წამოსაყვანათ საღამოს სამ საათზე. რადგან მე ავადმყოფ ბავშს ვერ ვშორდებოდი, ამიტომ შეევმუდარე ექიმს თითონ მობრძანებულიყო დანიშნულს და მისგან თვალით ნახულ ბინაზე. მაშინ კი გადაჭრით გამომიცხადა, რომ ის ჩემ ბავშვს ინახულებდა მხოლოდ მაშინ, თუ მე მის ბინაზედ მივიდოდი და წამოვიყვანდი. რადგან დავრწმუნდი, რომ ბ. ბადრიძე ერთობ გულ-გრილად ეკიდებოდა ჩემ თხოვნას და კიდეც რომ მომეყვანა დიდ ყურადღებას არ მიქცევდა ჩემ ავადმყოფს, ამიტომ მე ის ძალიან შემიწუხებია და სხვა კერძო ექიმი მოვიწვიე ხოლმე. ჩემის ფიქრით, მეტი ადამიანობა და თანა-გრძნობა შეშვენის გამოიჩინოს მოყვასისადმი (თუ იგი ჩვენისთანა „წვრილ“ კაცს მოყვასათ თვლის) განათლებულმა ექიმმა. ესეც რომ არ იყოს; თუ გინდ დაჩლუნგებულიც ჰქონდეს ადამიანური გრძნობა ბ. ექიმს, რად დასჭირდა მაინც და მაინც თავის საქციელით მოეგონებია ჩემთვის ის ახირებული მეგრელი, რომელმაც კითხვაზე—მეგრელო, ყური სად გაქვსო—მარჯვენა ხელი წამოიღო, კისერს უკან შემოატარა და მარცხენა ყურზე მოიკიდა. ნუ თუ უფრო პატიოსნება არ იქმნებოდა, იქვე სასწავლებელთან ქუჩის პირად მდგომ სახლში შემოეხვია და ბავშვი ენახა, ვინემ სამი ოთხი ვერსის მანძილზე მე ვერონებინე და თითონაც ერთი ასად მეტი შრომა მიეღო.

დ. მ

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მგელიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება

პირველი სერია სამეურნეო წიგნებისა

აბრეშუმის მოვლა

ნ. მკურნალისა.

ფასი 3 Კ.

დაიბეჭდა და ისყიდება

ასალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:

თეორია სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატია, — მასალა I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.

იკითხეთ: ოზურგეთში ა. ტორთან, ქუთაისში ი. კვიტარაძესთან და კ. ბეჟანიშვილთან, თბილისში წერაკითხვის საზოგადოებაში.

Типографія І. М. Хеладзе въ Кутаисѣ. Александровская ул., д. Гокіелова.